სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია

პრეამბულა

აღნიშნული მეთოდოლოგია არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „„სპექტრი“ პროფესიულ საგანმანათლებლო (მოდულარულ/დუალურ) პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 1. შესავალი და ტერმინთა განმარტება.

მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“ (შემდგომში - „კოლეჯი“).

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – (შემდგომში „პროგრამა“) ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სსიპ – საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

გ) A ტიპის სასწავლო გარემო - (შემდგომში „A გარემო“) სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობებისათვის, რომელის მინიმალური აღჭურვილობაა პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის შესაბამისი სტუდენტის მაგიდა, სკამი, 1 დაფა და, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების ციფრული საშუალება (პროექტორი), ასევე მასწავლებლის მაგიდა, სკამი და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი.

დ) B ტიპის სასწავლო გარემო - (შემდგომში „B გარემო“) სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, რომელიც აღჭურვილია პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (ერთ პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), ქსელური პრინტერით, დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი) და მასწავლებლის კომპიუტერით, რომელიც ჩართულია ინტერნეტის ქსელში.

ე) C ტიპის სასწავლო გარემო - (შემდგომში „C გარემო“) სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით, რომლის აღჭურვილობის ნორმატივები სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.

ვ) პროფესიულ სტუდენტი - (შემდგომში „სტუდენტი“) პირი, რომელმაც გაიარა შესაბამისი ტესტირება და ჩაირიცხა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“

ზ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლი - (შემდგომში „მასწავლებელი“) პირი, რომელიც ახორციელებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოდულის სწავლებას.

თ) სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - (შემდგომში „ქვოტა“) შესაბამისი წლის მანძილზე ორივე მიღების ფარგლებში (საგაზაფხულო/საშემოდგომო) პროფესიულ საგანმანათლებლო (მოდულარულ/დუალურ) პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, რომლის მიღებისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი.

ი) სასწავლო კვირა კალენდარული წლის მანძილზე - (შემდგომში „სასწავლო კვირა“) კალენდარული წლის მანძილზე სასწავლო კვირების რაოდენობა, რომელიც შეადგენს დაახლოვებით 42 კვირას არდადეგების გათვალისწინებით.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები.

1. სტუდენტთა ქვოტას თითოეული პროგრამის ფარგლებში შეიმუშავებს კოლეჯი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს საავტორიზაციო განაცხადში.

2. თითოეული პროგრამისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ქვოტის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს კოლეჯის მიერ განვლილი ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მისაღები კონტიგენტის მთლიან რაოდენობას.

3. ერთ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ქვოტა ანგარიშდება:

ა) კოლეჯის რეესტრის მონაცემების შესაბამის სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე, მათ შორის სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობის, ასევე შესაბამისი წლისათვის გამოცხადებული (გამოსაცხადებელი) მისაღები ადგილების ჯამით.

4. კოლეჯის მიერ მისაღებ სტუდენტთა ქვოტა თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

ა. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო;

ბ. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა ;

გ. საწარმოო პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის რესურსი;

დ. პროგრამის ხანგძლივობა.

5. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით, შესაბამისად **ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.**

6. ზოგიერთი მოდულის (მაგ. ინფორმაციული წიგნიერება) განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით, შესაბამისად **ერთ B გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.**

7. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო C გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით, შესაბამისად **ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.**

8. შესაძლებელია ერთმა მასწავლებელმა (სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით) განახორციელოს რამოდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო ცხრილის მიხედვით.

9. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის რესურსი საკმარისი უნდა იყოს ამგვარ ობიექტზე ერთჯერადად გაგზავნილი სტუდენტებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველსაყოფად, რის შესახებაც ინფორმაცია უნდა აისახოს საწარმოო პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან გაფორმებულ ხელშეკრულებაში/მემორანდუმში.

10. 21 სასწავლო კვირის ჩათვლით (დაახლოვებით 5 თვე) ხანგრძლივობის პროგრამზე (ანგარიშდება ყველა სავალდებულო პროფესიული მოდულის ან/და დარგობრივი/საერთო დარგობრივი მოდულის ჯამური ხანგრძლივობა ე.ი. იმ მოდულების ჯამური ხანგრძლივობა, რომლის განსახორციელებლადაც აუცილებელია C გარემო გარდა საწარმოო პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის მოდულებისა (თუ ისინი ხორციელდება კოლეჯს გარეთ)) მისაღები კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა შესაბამისი წლის ორივე მიღების შემთხვევაში (საგაზაფხულო/საშემოდგომო) განისაზღვროს მაქსიმუმ 6 ჯგუფით (3-3

ჯგუფი ორივე მიღებაზე, 15-20 სტუდენტი ჯგუფში) თუ დაკმაყოფილებულია ამ მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის მე-5; მე-6; მე-7; მე-8 და მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

11. 25-42 სასწავლო კვირის ჩათვლით (დაახლოვებით 6 დან-10 თვის ჩათვლით) ხანგრძლივობის პროგრამზე (ანგარიშდება ყველა სავალდებულო პროფესიული მოდულის ან/და დარგობრივი/საერთო დარგობრივი მოდულის ჯამური ხანგრძლივობა ე.ი. იმ მოდულების ჯამური ხანგრძლივობა, რომლის განსახორციელებლადაც აუცილებელია C გარემო გარდა საწარმოო პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის მოდულებისა (თუ ისინი ხორციელდება კოლეჯს გარეთ)) განისაზღვროს მაქსიმუმ 3 ჯგუფით (2 ჯგუფი საშემოდგომო მიღებაზე და 1 ჯგუფი საგაზაფხულო მიღებაზე, ან პირიქით, ან სამივე ჯგუფი ერთად, 15-20 სტუდენტი ჯგუფში) თუ დაკმაყოფილებულია ამ მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის მე-5; მე-6; მე-7; მე-8 და მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

12. 43 სასწავლო კვირის და მეტი ხანგრძლივობის (დაახლოვებით 10 თვეზე მეტი) პროგრამზე (ანგარიშდება ყველა სავალდებულო პროფესიული მოდულის ან/და დარგობრივი/საერთო დარგობრივი მოდულის ჯამური ხანგრძლივობა ე.ი. იმ მოდულების ჯამური ხანგრძლივობა, რომლის განსახორციელებლადაც აუცილებელია C გარემო გარდა საწარმოო პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის მოდულებისა (თუ ისინი ხორციელდება კოლეჯს გარეთ)) განისაზღვროს მაქსიმუმ 3 ჯგუფით ერთ-ერთ მიღებაზე, 15-20 სტუდენტი ჯგუფში და განმეორებითი მიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ყველა სავალდებულო პროფესიული მოდულის ან/და დარგობრივი/საერთო დარგობრივი მოდულის, ე.ი. იმ მოდულების, რომლის განსახორციელებლადაც აუცილებელია C გარემო, ამოწურვის შემდგომ პირველივე მიღებისას (საგაზაფხულო ან საშემოდგომო) თუ დაკმაყოფილებულია ამ მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის მე-5; მე-6; მე-7; მე-8 და მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

13. ამ მუხლის მე-10, 11 და მე-12 პუნქტში მითითებული ერთ ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა (15 ან 20) განისაზღვროს მასწავლებლებთან კონსულტაციის შედეგად.

14. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაანგარიშება განხორციელდეს ქვოტის განსაზღვრის ფორმა №1-ის შესაბამისად.

15. წინამდებარე წესი არ ვრცელდება დუალური მოდელით განსახორციელებელ პროგრამებზე

16. წინამდებარე წესში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ადმინისტრაციის ან პროფესიული მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთებული არგუმენტის საფუძველზე, რომელსაც განიხილავს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია და შედეგებს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

17. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელშიც სავალდებულოა მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობით შეყვანა.